დამტკიცებულია:
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 2022 წლის 26 ივლისის N2/112 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი აწესრიგებს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (შემდგომში „აკადემია“) საქართველოს სახელმწიფო დროშის, საქართველოს სახელმწიფო გერბისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის, როგორც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების, გამოყენების წესს.

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვა

1. საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღმართულია აკადემიის შენობაზე.
2. საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართვისას იშლება და ფრიალისას არ ეხება მიწას, წყალს, კედელს.
3. სახელმწიფო ღონისძიებისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება და დაეშვება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით.
4. საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას ან გამოფენისას დამსწრე დგას დროშების მიმართ პირისახით.
5. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება ფლაგშტოკის ბოლომდე და უკვე შემდეგ დაეშვება ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით, ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.
6. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშის ჩამოხსნის დაშვების შემთხვევაში, ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით დაშვებული და ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე აღმართული დროშა აღიმართება და უკვე შემდეგ დაეშვება და ჩამოიხსნება.
7. გლოვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც სახელმწიფო დროშის სიმაღლის 1/2-ს არ აღემატება.

მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების აკრძალვა

1. დაზიანებული, გაუფერულებული ან სხვაგვარად შელახული საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენება აკრძალულია.
2. დაუშვებელია:
   ა) საქართველოს სახელმწიფო დროშის არადანიშნულებით გამოყენება;
   ბ) საქართველოს სახელმწიფო დროშის შემკობა ნებისმიერი გამოსახულებით, მოხატვა;
   გ) საქართველოს სახელმწიფო დროშის დაზიანება;
   დ) საქართველოს სახელმწიფო დროშის შენახვა დროშისთვის საფრთხის შემცველ ან შეუფერებელ პირობებში;
   ე) საქართველოს სახელმწიფო დროშის დამცირება, სხვა დროშასთან მიმართებაში წესისათვის შეუსაბამო აღმართვით და გამოფენით.

მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენება

საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით განთავსება აკადემიის შენობების ფასადზე.

1. დაუშვებელია, სხვა გერბი ან ჰერალდიკური ნიშანი საქართველოს სახელმწიფო გერბზე მაღლა განთავსდეს (გამოისახოს) და საქართველოს სახელმწიფო გერბზე დიდი ზომის იყოს.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბისა ორგანიზაციის სახელწოდების ერთ ფირნიშზე გამოსახვა დაუშვებელია.
3. დაზიანებული საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფო დროშის და საქართველოს სახელმწიფო გერბის დაცვა

აკადემიის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშის და საქართველოს სახელმწიფო გერბის დაცვას უზრუნველყოფს აკადემია.

მუხლი 6. აკადემიაში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის განთავსება და შესრულება

1. აკადემიაში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი (ჩანაწერი) სრულდება:
   ა) საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას;
   ბ) საქართველოს სახელმწიფო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებათა გახსნისას ან/და დახურვისას;
   გ) აკადემიაში სასწავლო წლის დაწყებისას და დამთავრებისას.
2. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს სავალდებულოა ფეხზე ადგომა, ხოლო მამაკაცისათვის – ასევე ქუდის მოხდა.
3. თუ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებას თან ახლავს საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვა, სავალდებულოა სახით საქართველოს სახელმწიფო დროშისკენ შეტრიალება.
4. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის აკადემიის შენობაში განთავსდება თვალსაჩინო ადგილზე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს კანონით „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“